



საქმე №1გ/1545



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

05 ოქტომბერი 2016 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
სპარტაკ პავლიაშვილმა
გიორგი კვახაძის მდივნობით,

პროკურორების - **თამარ პატიეშვილის და ანა სიგუას**
ადვოკატის - **დ. მ.-ს**

ბრალდებულის - **ნ. ჩ. -ს**

მონაწილეობით, ღია სასამართლო სხდომაზე, ზეპირი მოსმენით განიხილა ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ელენე გოგუაძის 2016 წლის 29 სექტემბერის განჩინებაზე, ბრალდებულ **ნ. ჩ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

თბილისის შსს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილება აწარმოებს გამოძიებას სისხლის სამართლის №004200916001 საქმეზე ბრალდებულების - **ნ. ჩ.-ს** და **გ. ბ.-ს** მიმართ.

ამ სს საქმეზე 2016 წლის 27 სექტემბერს დაკავებულნი იქნენ **ნ. ჩ. და გ. ბ.** მათვე 2016 წლის 29 სექტემბერს წარედგინათ ბრალდება **ნ. ჩ.-ს** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო **გ. ბ.-ს** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (იხ.დადგენილებები პირთა ბრალდების შესახებ).

2016 წლის 29 სექტემბერს ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის **სტაჟიორ-პროკურორმა თამარ პატიეშვილმა** შუამდგომლობით მიმართა თბილისის



საქალაქო სასამართლოს ბრალდებულების ნ. ჩ.-ს და გ. ბ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ელენე გოგუაძის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ბრალდებულ გ. ბ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩა პატიმრობა, ხოლო ბრალდებულ ნ. ჩ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩა გირაო 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით (საპატიმრო უზრუნველყოფით) და გირაოს თანხის შეტანის ვადად განესაზღვრა 20 (ოცი) დღე.

აღნიშნული განჩინება ბრალდებულ ნ. ჩ.-ს მიმართ გაასაჩივრა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორმა თამარ პატიეშვილმა. საჩივრით მოთხოვნილია პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების შეცვლა და ბრალდებულ ნ. ჩ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება. საჩივრში მითითებულია, რომ ბრალდებულს ბრალად ედება საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული, განზრახი დანაშაული, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად უალტერნატივოდ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. ბრალდების მხარე თვლის, რომ მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშითა და მისგან თავის არიდების მიზნით, ბრალდებული მიემალება გამოძიებასა და სასამართლოს, რითაც ხელი შეეშლება მართლმსაჯულების განხორციელებასა და განაჩენის აღსრულებას. ასევე ყურადსაღებია, რომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სწორედ ნ. ჩ.-ს ბინიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღით მოხდა ყაჩაღური თავდასხმა და შესაძლოა მას ბრალი დაუმძიმდეს. ამასთან ბრალდებულები გ. ბ. და ნ. ჩ. ერთმანეთის ახლობლები და მეგობრები არიან. შესაბამისად, არსებობს დასაბუთებული ვარაუდის საფუძველი, რომ თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, ბრალდებულები შეათანხმებენ პოზიციებს რათა შეცდომაში შეიყვანონ გამოძიება. ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ ნ. ჩ.-ს მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით არ იქნება შერჩეული პატიმრობა, იგი გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს, რითაც ხელს შეუშლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, მართლმსაჯულების განხორციელებასა და განჩინების აღსრულებას. ამდენად ბრალდების მხარის პოზიციით, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრალდებული წარსულში არის ნასამართლევი საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, აღკვეთის ღონისძიების მიზნების უზრუნველყოფა ნ. ჩ.-ს მიმართ შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების სახით მხოლოდ პატიმრობის შეფარდების პირობებში და ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, გარდა პატიმრობისა, ვერ იქნება ნ. ჩ.-სათვის შემაკავებელი ხასიათის და მისი სათანადო ქცევის გარანტი (ვრცლად იხ: საჩივარი).

დაცვის მხარე არ დაეთანხმა პროკურატურის საჩივარს და მან მიუთითა, რომ არანაირი საფუძველი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებისათვის არ არსებობს. ბრალდებულს წარსულში სასჯელის სახით შეფარდებული ჰქონდა ჯარიმა, რაც გადახდილია შესაბამისად ის არ არის ნასამართლევი. მეორეც მას არანაირი კავშირი არ აქვს მომხდარ მძიმე



დანაშაულთან. ამას ადასტურებს თვით ტაქსის მძღოლიც, რომელიც მიუთითებს, რომ დანაშაულის ჩადენა მოხდა ერთი პირის მიერ და ამ დროს **ნ. ჩ.** მანქანაში არ იმყოფებოდა. დანაშაული, რომლის ჩადენაც ბრალდება ბრალდებულს არის ნაკლებად მძიმე დანაშაული, შესაბამისად აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენებას სულ სხვა დასაბუთება ესაჭიროება, რაც წარმოდგენილი არ არის. ბრალდებულს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჰყავს მამა შესაბამისად არნაირი მიმალვის საფრთხე არ არსებობს. ასევე ბუნდოვანია ბრალდების მხარის პოზიცია მტკიცებულებებზე შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ყველა მათგანი, როგორც ცეცხლსასროლი იარაღი, ისე საბრძოლო მასალა და ტრავმატული იარაღიც ამოღებულია გამოძიების მიერ, რის გამოც მათზე ზემოქმედების საფრთხე გამორიცხულია.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა საჩივარი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაანალიზა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოყენებული გირაოს მიზანშეწონილობა და მიაჩნია, რომ პროკურორის საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ **ნ. ჩ.-ს** მიმართ ბრალდების წარდგენის, აგრეთვე, მტკიცებულებათა მოპოვებისა და სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელების დროს არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევებს, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, ადგილი არ ჰქონია.

საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობა იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლებელია **ნ. ჩ.-ს** ჩადენილი ჰქონდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. აღნიშნულთან დაკავშირებით, საჩივართან ერთად წარმოდგენილია ფაქტებისა და ინფორმაციის საკმარისი ერთობლიობა, რაც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულებრივი ქმედების შესაძლო ჩადენაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდი არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი. შესაბამისად, **ბრალდებულის** მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდება სრულად შეესაბამება როგორც საპროცესო მოთხოვნებს, ისე მისი გამოყენების ფაქტობრივ საფუძვლებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდგომ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს, ბრალდებულთან მიმართებაში არსებულ საფრთხეებზე და კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის სტადიებზე. ამასთან სასამართლო არ უნდა იყოს შეზღუდული ბრალდების სიმძიმით და ჩადენილი ქმედების შინაარსით.



პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითა, რომ ბრალდების მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე ვერ იქნა დასაბუთებული ბრალდებულის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების საფუძველი და მის მიმართ ნაკლებად მკაცრი ღონისძიების, მათ შორის გირაოს გამოყენების მიზანშეუწონლობა. ბრალდების მხარე, ბრალდებულის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების საფუძველად მიუთითებს სასჯელის შიშით ბრალდებულის მიმალვის რისკზე და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ მითითება მოსალოდნელი სასჯელის შიშზე, არ არის და ვერ ჩაითვლება იმ სტანდარტით დასაბუთებულად, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნეს ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, ვინაიდან დასაბუთებისას არ შეიძლება არგუმენტაცია იყოს აბსტრაქტული. რაც შეეხება მიმალვის საფრთხეს სასამართლომ მიუთითა, რომ სასჯელის სიმკაცრე მიმალვის საფრთხის რელევანტურია, თუმცა არასაკმარისია, უნდა იყოს კონკრეტული და რეალური ფაქტები მითითებული. სასამართლომ მიუთითა, რომ ბრალდებულის დაკავება მოხდა მშვიდ ვითარებაში, იძულების გამოყენების გარეშე, მას ჰყავს ოჯახი დედა-მამა და და-ძმა, რაც ამცირებს მისი მიმალვის რისკებს. როდესაც შესაძლებელია პირის მიმართ, განეიტრალებს მტკიცებულებების განადგურების, მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის, ასევე ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისა და პირის მიმართ მიმალვის საფრთხეები, სასამართლო ვალდებულია განიხილოს ალტერნატიული საშუალებები, აღკვეთის ღონისძიების სახის მიმართებით. ამ გარემოებებზე დაყრდნობით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით 5 000 ლარის გირაოს შეფარდება სრულად უზრუნველყოფდა შესაბამისი მიზნების მიღწევას.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია თბილისის საქალაქო სასამართლოს ამ მსჯელობას არ ეთანხმება და მიუთითებს შემდეგზე:

საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს ამ მუხლში მკაცრად გაწერილი მიზნები, თუ ამ მიზნების მიღწევა საქმის გარემოებებიდან და ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე შესაძლებელია შედარებით მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით, რა თქმა უნდა უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ ღონისძიებას. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ყველას აქვს თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. ეს დებულებები ვრცელდება ადამიანის თავისუფლებაზე გამოძიების და სასამართლო განხილვების პროცესშიც, თუ სახეზე არ გვაქვს ის კონკრეტული საფრთხეები, რის გამოც ნებადართულია ამ



თავისუფლებების შეზღუდვა, კერძოდ სსკ-ის 205-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად . პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული დებულებების შინაარსი პატიმრობის, როგორც საგამონაკლისო აღკვეთის ღონისძიების თვისებებს განაპირობებს, რის გამოც სახეზე უნდა იყოს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი წონადი არგუმენტები. ნ. ჩ.-თან მიმართებაში ასეთ არგუმენტად საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია მტკიცებულებებზე შესაძლო ზემოქმედების საფრთხე. დადგენილია, რომ ნ. ჩ.-ს მეგობრის გ. ბ.-ს მიერ ტაქსის მძღოლის სავარაუდო დაყაჩაღება ჩადენილი იქნა ტრავმატული იარაღით. ასევე დადგენილია, რომ გ. ბ. და ნ. ჩ. დანაშაულის სავარაუდო ჩადენამდე ცოტა ხნით ადრე ერთად იმყოფებოდნენ და ისინი ახლო მეგობრები არიან. თვით ნ. ჩ.-ს ბინის ჩხრეკისას კი ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად ამოღებული იქნა ტრავმატული იარაღი. სააპელაციო სასამართლო ბრალდებულთან მიმართებაში არსებული საფრთხეების შეფასებისას ყურადღებას აქცევს ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის შენახვის პირობებსაც, ისინი ამოღებული იქნა მისი სძინებელი ოთახიდან, საწოლის ლეიბის ქვეშიდან. ეს კი მიუთითებს, რომ ცეცხლსასროლი იარაღი ბრალდებულს ახლოს ჰქონდა და მისი მომართვა დანაშაულის ჩასადენად რაიმე ძალისხმევას არ საჭიროებდა. ის გარემოება, რომ ნ. ჩ.-ს ახლო მეგობარმა, რომელთან ერთადაც ის გვიან ღამემდე იმყოფებოდა ქუჩაში სავარაუდოდ ჩაიდინა მძიმე დანაშაული ტრავმატული იარაღის გამოყენებით (დაზარალებულის მიმართ დამიზნებით ორჯერ განახორციელა გასროლა) აჩენს აუცილებლობას თვით ნ. ჩ.-ს ბინიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღის (ტტ-ს სისტემის იარაღის) შემოწმებაზე სხვა დანაშაულთან კავშირის დადგენის მიზნით. რაც ბუნებრივად უკავშირდება მტკიცებულებებზე ზემოქმედების საფრთხეს, რადგან სავარაუდო დანაშაულს თავისი შემსრულებელი და მოწმეები ჰყავს. სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს - საქმეში „გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ 48-ე პუნქტში შეფასებული აქვს გამოძიების ინტერესები ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღის შემხებლობაზე სხვა დანაშაულთან შემხებლობაში და ამ მოტივით პატიმრობის გამოყენება არ იქნა მიჩნეული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევად.

თბილისის სააპელაციო სასამართლო ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მიმალვის და ახალი დანაშაულის შესაძლო ჩადენის საფრთხეების შეფასებაში. როდესაც ადამიანს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ჰყავს დედა-მამა, მიმალვის რისკები მინიმალურია, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც მას ჩადენილი ქმედებისათვის მკაცრი სასჯელი არ ემუქრება. მიმალვის საფრთხე უნდა შეფასდეს ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით როგორიცაა ადამიანის თვისებები, მორალური პრინციპები, საცხოვრებელი ადგილი,



სამსახური, ფინანსური მდგომარეობა, ოჯახური დამოკიდებულებები და სხვა კავშირები ქვეყანაში, რომელშიც მიმდინარეობს გამოძიება (Becciev v. Moldova & 58)

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის შეფასებისას სააპელაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე (Selguk v. Turkey #34, Matznetter v. Austria #9), რომლის მიხედვითაც ბრალდებულის ნასამართლობა შესაძლოა გახდეს საფუძველი დასაბუთებული ვარაუდისა, რომ ბრალდებულს შეუძლია ჩაიდინოს ახალი დანაშაული. მართალია ბრალდებულს წარსულში ჰქონდა ნასამართლობა, რომლისთვისაც სასჯელის სახით დანიშნული ჰქონდა ჯარიმა, თუმცა დაცვის მხარის განმარტებით ეს ჯარიმა გადახდილია, ეს კი ნასამართლობის არ ქონას ნიშნავს, ამიტომ სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნია მყარი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ბრალდებულმა კვლავ შეიძლება ჩაიდინოს ახალი დანაშაული.

თბილისის სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ მიუხედავად მიმალვის და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეების მინიმალური ხარისხით არსებობისა, მტკიცებულებებზე შესაძლო ზემოქმედების საფრთხის გამო სახეზეა ნ. ჩ.-ს მიმართ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა. ზემოთხსენებული საფრთხეების კუმულაციური არსებობა საგამონაკლისო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის არ არის აუცილებელი. თუმცა აქვე ბრალდების მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მტკიცებულებებზე და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე, შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, გამოძიების საწყის ეტაპებზე (Jarzynski v. Poland #43)

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ელენე გოგუაძის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება ბრალდებულ ნ. ჩ.-ს მიმართ 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს შეფარდების შესახებ უნდა შეიცვალოს და ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა შეეფარდოს პატიმრობა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20, 98-ე, 198-ე, 200-ე, 205-ე მუხლებით, 207-ე მუხლის მე-5-8 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

პროკურორის საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ელენე გოგუაძის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება, ბრალდებულ ნ. ჩ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 5 000 ლარის ოდენობით გამოყენების შესახებ.

ნ. ჩ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩეს პატიმრობა. პატიმრობის ვადა მას აეთვალოს დაკავებიდან 2016 წლის 27 სექტემბრიდან.



სხვა ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ელენე გოგუაძის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

განჩინება შესასრულებლად და ცნობისთვის გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე

სპარტაკ პავლიაშვილი